საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: მ. თ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: ადვოკატი გ. ტ. /სიითი №/, ადვოკატი კ. შ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.05.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №046/23

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ბ. ზ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ბ. ზ.-სთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 22 მაისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ბ. ზ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო 2023 წლის 12 ივნისის საპროცესო კოლეგიის დისტანციურ სხდომას.

1.2 საჩივრის ავტორს პრეტენზია აქვს პროცესუალურად დაპირისპირებული მხარის წარმომადგენელთან - ბ. ზ.-თან. მომჩივანის განმარტებით, სასამართლო დავა მიმდინარეობს თელავის რაიონულ სასამართლოში, სადაც ბ. ზ. იცავს საქმეში მესამე პირად ჩართული პირის ინტერესებს.

1.3 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა სხდომის მიმდინარეობისას დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები და მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მომჩივანმა წარმოადგინა სასამართლო სხდომის ჩანაწერი და მიუთითა, რომ ადვოკატმა სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ის, ყველასთვის საჯაროდ, „თაღლითად“ მოიხსენია, რაზეც მოსამართლემ ადვოკატს მისცა შენიშვნა და მოუწოდა კორექტულობისკენ. მომჩივანის განმარტებით ადვოკატმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა, არაერთხელ, სხდომის დასრულების შემდეგ, სასამართლოს დარბაზის გარეთც მიაყენა.

1.4 მომჩივანი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მსგავსი ქმედებით დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ბ. ზ.-მა 2023 წლის 31 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. მოპასუხე ადვოკატი დაესწრო 2023 წლის 19 ივნისის საპროცესო კოლეგიის დისტანციურ სხდომას, სადაც განმარტა, რომ მ. თ.-ის მიერ, ეთიკის კომისიაში შემოტანილი საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მას მომჩივანისთვის, როგორც სასამრთლო სხდომის მიმდინარეობისას, ასევე სხდომის დარბაზის გარეთ, სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ადვოკატის განმარტებით, მომჩივანი თელავის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე დავაში წარმოადგენს მოსარჩელეს ინტერესებს, ხოლო მან საქმის მიმდინარეობისას შეაფასა ქმედება, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას, შესაბამისად ადვოკატის განმარტებით, შეუძლებელია მისი შეფასებითი ფორმით გაკეთებული განცხადება შეურაცხმყოფელი ყოფილიყო მოსარჩელეს წარმომადგენლისთვის. ამასთან, ადვოკატმა განმარტა, რომ მოსამართლეს მისთვის შენიშვნა არ მიუცია, მან ორივე მხარეს მოუწოდა წესრიგის დაცვისკენ, ხოლო მომჩივანის განცხადება, რომ მას მოსამრთლემ მისცა შენიშვნა არ შეესაბამება სიმართლეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ბ. ზ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 მ. თ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 22 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2023 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ბ. ზ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა, ბ. ზ.-მა მას სასამართლოს სხდომის მიმდინარეობისას მიმართა შემდეგი სიტყვებით, „თქვენ ისეთ უფლებას იყენებთ, რომ სხვის ნაკვეთს თაღლითურად ითვისებთ“, ხოლო სხდომის დასრულების შემდეგ, სასმართლო დარბაზის გარეთ არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

5.2 საპროცესო კოლეგია გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მასალებს, მოისმინა მომჩივანი მხარის პოზიცია და იმსჯელა ადვოკატ ბ. ზ.-ს მიერ პროფესიული ქცევის შემდეგი პრინციპების შესაძლო დარღვევის შესახებ:

> ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.გ).
>
> ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 9.1).
>
> ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

5.3 ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. კლიენტის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, ადვოკატის ნებისმიერი ქმედება, იქნება ეს პირის წარმომადგენლობა სასამართლოში; სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა; წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან თუ კლიენტის მოპასუხე მხარესთან მოლაპარაკების წარმოება, წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას და ის უნდა შეესაბამებოდეს პროფესიულ ეთიკას. თავის მხრივ პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს, თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებისას - კლიენტის ინტერესების დაცვისას, საადვოკატო

მომსახურეობა განახორციელოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში, უზრუნველყოს კლიენტის მხოლოდ კანონიერი ინტერესების, კანონიერი საშუალებებით დაცვა და მიუხედავად ადვოკატის პროფესიის მთავარი მიზნისა, რაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მხრიდან, კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურბის გაწევას გულისხმობს, კლიენტის ინტერესები არ დააყენოს, კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმებზე მაღლა.

5.4 საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს, სხვათა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა, მათ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების უფლების მოქმედება განხილული უნდა იქნეს მათი პროფესიული უფლება-მოვალეობების თანადროულად. შესაბამისად, ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულების დარღვევის შეფასებისას გასათვალისწინებელია, როგორც, ადვოკატის - მართლმსაჯულების განმახორციელებელი პროფესიის წარმომადგენლის ვალდებულებები, ასევე მისი გამოხატვის თავისუფლების უფლება და კლიენტის ინტერესების დაცვისას მოქმედი მისი, როგორც ადვოკატის „იმუნიტეტი“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38.4 მუხლი).

5.5 სიტყვიერი შეურაცხყოფა გულისხმობს სხვა ადამიანის დამცირების, პატივისა და ღირსების შელახვისკენ მიმართულ, ზეპირი ფორმით გამოხატულ უხამს განცხადებას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხშირ შემთხვევაში, პიროვნებისთვის სუბიექტური თვალსაზრისით „მორალური ტანჯვის გამომწვევი“ განცხადებები, შესაძლებელია ობიექტურად არ იყოს შეურაცხყმყოფელი ხასიათის და არ შეიცავდეს უხამსობას ანდა ცილისმწამებლურ ფატქტებს და ჯდებოდეს კანონით დაცულ გამოხატვის თავისუფლების უფლებაში. ამავდროულად, ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვისას, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადებების შეფასებისას აუცილებლად გასათალისწინებელია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი გათვალისწინებული ადვოკატის დაცვის გარანტიები, რომლის მიხედვითაც ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, აქვე უნდა განიმარტოს, რომ ამავე კანონის მე-6 მუხლით არაკანონიერი ან არაეთიკური საშუალებებით კლიენტის დაცვის დროს ადვოკატის „იმუნიტეტი“ ვერ იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

5.4 შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ საჩივრით წარმოდგენილი პრეტენზია მიზნად ისახავს ადვოკატის აზრის გამოხატვის უფლებაში ჩარევას, საპროცესო კოლეგიამ შეამოწმა ადვოკატ ბ. ზ.-ს სადაოდ გამხდარი განცხადების ფორმა და კონტექსტი, ადვოკატის

პროფესიულ ვალდებულებებსა და უფლებებთან მიმართებით, რათა არ დარღვეულყო ადვოკატის, როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური საქმის წარმოებისას, საჩივარში დაფიქსირებული პრეტენზიის შესაბამისად, ფაქტების მითითებისა და მათი დამტკიცების ვალდებულება საჩივრის ავტორს აკისრია. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). შესაბამისად, როდესაც საჩივრის ავტორი დაობს ადვოკატის მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, მას ეკისრება ვალდებულება, საქმის განმხილველ კოლეგიას, ერთის მხრივ კონკრეტულად მიუთითოს ადვოკატის იმ განცხადებაზე, რომლითაც მან მომჩივანს მიაყენა შეურაცხყოფა და მეორეს მხრივ, წარმოადგინოს ფაქტის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

5.6 საჩივრის ავტორმა, საკუთარი პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ სადავო განცხადების დასადასტურებლად, წარმოადგინა 2023 წლის 28 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმის ჩანაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ ადვოკატმა სასამართლო პროცესზე განაცხადა შემდეგი: ,,თქვენ ისეთ უფლებას იყენებთ, რომ სხვის ნაკვეთს თაღლითურად ითვისებთ“. თავის მხრივ ადვოკატმა დაადასტურა, რომ სასამართლო პროცესზე ნამდვილად გააკეთა მსგავსი განცხადება.

5.7 კოლეგიამ შეაფასა ადვოკატ ბ. ზ.-ს განცხადება: ,,თქვენ ისეთ უფლებას იყენებთ, რომ სხვის ნაკვეთს თაღლითურად ითვისებთ“ და დაადგინა, რომ განცხადება, ერთის მხრივ არ არის უხამსი ფორმით გაკეთებული, არ არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ გამოხატვის ფორმას და მეორეს მხრივ, ის შეფასებითი კატეგორიისაა, რაც მიუხედავად მისი, მომჩივანისთვის შესაძლო არასასიამოვნო შინაარსისა, უზრუნველყოფს განცხადების გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში მოქცევას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქმის განმხილველმა მოსამართლემ გაკეთებული განცხადებისთვის არ მისცა ადვოკატს შენიშვნა და მან შექმნილი არეოულობის აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი ქცევისკენ მოუწოდა ორივე მხარეს. ამასთან, საჩივრის ავტორი, მ. თ. სასმართლო პროცესში მონაწილეობას იღებდა როგორც მოსარჩელეს წარმომადგენელი, ხოლო ადვოკატმა ბ. ზ.-მა შეაფასა, ის უფლება რომლითაც მხარე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ითოხვდა, რაც გამორიცხავს განცხადების უშუალოდ საჩივრის ავტორის მიმართ გაკეთებას. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია, ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადების ფორმის, კონტექსტისა და საქმის ნეიტრალური მონაწილის - მოსამართლის რეაქციის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ ადვოკატის განცხადება, ერთის მხრივ არ ისახავდა მიზნად მომჩივანის შეურაცხყოფას, ხოლო მეორეს მხრივ ობიექტურად არ არის შეურაცხმყოფელი ფორმით გაკეთებული.

5.8 რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ ადვოკატმა მას სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, არაერთხელ მიაყენეა სხდომის დარბაზის გარეთ სიტყვიერი შეურაცხყოფა, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორს, ერთის მხრივ არ მიუთითებია კოლეგიისთვის კონკრეტულად რა განცხადებით მიაყენა ადვოკატმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო მეორეს მხრივ, გარდა საკუთარი ზოგადი ახსნა-განმარტებისა, რომ ადვოკატმა მას სასმართლოს სხდომის დარბაზის გარეთაც არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, არ წარმოუდგენია ფაქტის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ, თავად საჩივრის ავტორის მიერ საკუთარი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ის მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს მომჩივანის აღნიშნული პრეტენზია.

5.9 ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და მხარეთა განმარტებებით არ დგინდება ადვოკატ ბ. ზ.-ს მხრიდან საჩივრის ავტორის, მ. თ.-ის მიმართ გამოხატული კომუნიკაციის ისეთი ფორმა, რომელსაც შეეძლო პროცესის მონაწილის კანონის დაცვის ღირსი ინტერესებისა და უფლებების შელახვა გამოეწვია. მოწინააღმდეგე მხარისათვის არასასურველი განცხადება, რომელიც ობიექტური თვალსაზრისით არ წარმოდგენს უხამის ფორმით ფორმულირებულ მიმართვას და არ შეიცავს ცილისმწამებლურ შინაარს, არ შეიძლება განიმარტოს, ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილის შეურაცხყოფად.

5.10 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ბ. ზ.-ს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 9.1 და 9.4

5.11 საპროცესო კოლეგია, აქვე განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილი ფაქტი კოლეგიამ გადაცდომად არ შეაფასა, კვალიციფიური მომსახურების გაწევის სტანდარტი, ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, პროცესის მონაწილის მიმართ, მართოს საკუთარი ქცევა, კომუნიკაციისას იყოს გულისხმიერი და ფრთხილი, რათა არ გააკეთოს იმგვარი განცხადება, რომლიც მისი დამაბნეველი ფორმულირებისა თუ ინტერპრეტაციის საშუალების გამო, მხარემ მიიჩნიოს მისი მისამართით გაკეთებულ შეურაცმყოფელ განცხადებად.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №046/23 ადვოკატ ბ. ზ.-ს /სიითი №/ მიმართ, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/